

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სხდომის  
ოქმი №13

2019 წლის 28 ივნისი, 14:00 საათი

\* ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე - კარლო ჯამბურია.  
სხდომას ესწრებოდნენ:  
საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

-1-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გია კობახიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

/მომხს: ს. კვერნაძე/

**გადაწყვიტეს:**

ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, 2019 წლის 28 ივნისიდან, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გია კობახიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

/განკარგულება №38-ი თან ერთვის/

-2-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კარლო ჯამბურიას შვებულების შესახებ.

/მომხს: კ. ჯამბურია/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -22, წინააღმდეგი-1 ალექსანდრე ვარდისანიძე),**

**გადაწყვიტეს:**

მიეცეს კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების ნაწილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს კარლო ჯამბურიას 2019 წლის 5 ივლისს, ერთი სამუშაო დღე.

/განკარგულება №37-ი თან ერთვის/

-3-

**მოისმინეს:**

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №14-ი განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ვ. ალიბეგაშვილი/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 23, წინააღმდეგი-0),**

**გადაწყვიტეს:**

შევიდეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების

მოწონების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №14-ი განკარგულების დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

/განკარგულება №36-ი თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია